



სსიპ კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია“

ვებტექნოლოგიები

საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი: თბილისი 0160, ფანჯიკიძის N3

ტელეფონი: +995 322 200220

ელ-ფოსტა: info@itvet.ge

პროგრამის ხელმძღვანელი: ზურაბ დოლიძე

თბილისი
2019 წ.

1. ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია პროგრამა: ვებტექნოლოგიები / Web Technology
2. ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია პროგრამა: 06114-ს
3. მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე - საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ვებტექნოლოგიებში / Secondary Vocational Qualification in Web Technology

აღნიშნული კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - „მონაცემთა ბაზებისა და ქსელების დიზაინი და ადმინისტრირება“, კოდი 0612, აღმწერი - „შეისწავლის პროგრამული უზრუნველყოფის აპლიკაციების დიზაინს, ფუნქციონირებასა და ინტეგრაციას. მოიცავს კომპიუტერულ მედია აპლიკაციებსაც”

4. მიზანი

პროგრამის მიზანია ვებტექნოლოგიების სფეროსთვის ისეთი კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება, რომლებიც შეძლებენ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით შექმნან ვებგვერდისთვის ვებინტერფეისის როგორც დიზაინი, ასევე - დეველოპინგი (front-ის მხარე).

5. დაშვების წინაპირობა - სრული ზოგადი განათლება

6. დასაქმების სფერო და შესაძლებლობები

ვებტექნოლოგიებში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ვებდეველოპერად, ვებგვერდის მხარდამჭერ სპეციალისტად ან ვებდისაინერად.

- ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდი: 62, 62.0, 62.01.
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორი (ISCO) კოდი: 3514

7. სტრუქტურა და მოდულები

- 7.1 პროგრამა ითვალისწინებს 6 ზოგად მოდულს - ჯამური 17 კრედიტის მოცულობით და 9 პროფესიულ მოდულს - ჯამური 46 კრედიტის მოცულობით. ვებტექნოლოგიებში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამურად **63 კრედიტი**. სწავლების სავარაუდო ხანგრძლივობაა 12 სასწავლო თვე.
- 7.2 მოდულების, ქართული ენა A2 (15 კრედიტი) და ქართული ენა B1 (15 კრედიტი) გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ სტუდენტებისთვის, რომლებმაც საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით. შესაბამისად, კვალიფიკაციის მისანიჭებლად მათ უნდა დააგროვონ ჯამურად 93 კრედიტი. სწავლების სავარაუდო ხანგრძლივობაა 16 სასწავლო თვე.

ზოგადი მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1.	ინფორმაციული წიგნიერება 1	3
2.	ინტერპერსონალური კომუნიკაცია	3
3.	რაოდენობრივი წიგნიერება	2
4.	სამოქალაქო განათლება	2
5.	მეწარმეობა 2	2
6.	უცხოური ენა (ინგლისური)	5
სულ		17
პროფესიული მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1.	პრაქტიკული პროექტი - ვებტექნოლოგიები	4
2.	ვებგვერდის მარკირება და სტილებით გაფორმება	8
3.	გრაფიკული გამოსახულების შექმნა-დამუშავება	7
4.	დარგობრივი ინგლისური ენა ვებტექნოლოგიებში	5
5.	ვებგვერდის ინტერაქტივისა და ეფექტების შემუშავება - JavaScript	6
6.	ვებგვერდის მართვის სისტემების (CMS) გამოყენება	5
7.	ვებგვერდის მარკირება Bootstrap-ის სპეციალიზებული ბიბლიოთეკების საშუალებით	3
8.	ვებგვერდის ინტერაქტივისა და ეფექტების შემუშავება Angular-ის საშუალებით	3
9.	ვექტორული გამოსახულების დამუშავება (Adobe Illustrator)	5
სულ		46

8. მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. შექმნას ვებგვერდის მაკეტი და მოარგოს სხვადასხვა მოწყობილობას
2. გააფორმოს ვებგვერდის ფონი, შრიფტი და ელემენტები სტილების საშუალებით
3. გადაწყვიტოს მარტივი ამოცანა JavaScript ენის ძირითადი ელემენტებისა და კონსტრუქციების გამოყენებით
4. მოახდინოს JavaScript-ის ბიბლიოთეკების ინტეგრაცია ვებგვერდთან
5. დააინსტალიროს გვერდის მართვის სისტემები (CMS) და ააწყოს ვებგვერდის დიზაინი
6. შეიმუშავოს გვერდის ინტერაქტივი და ეფექტები
7. მოახდინოს გვერდის მარკირება Bootstrap-ის სპეციალიზებული ბიბლიოთეკების საშუალებით
8. შეიმუშავოს გვერდის ინტერაქტივი და ეფექტები Angular-ის საშუალებით
9. მოამზადოს ვებინტერფეისის გრაფიკული დიზაინი
10. დაამუშავოს ვექტორული გამოსახულება
11. შექმნას ვებგვერდის მულტიმედია კონტენტი
12. შექმნას ფოტომასალა ვებგვერდისთვის.

9. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება

სსიპ კოლეჯ - „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიას“ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული აქვს წინამდებარე საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც არ ითვალისწინებს არჩევითი სტატუსის მოდულებს.

10. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
- ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება კოლეჯის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ შესაბამისად.

პროგრამა მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას (*მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათმორისი, კულტურათათმორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა*), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში უნდა შეფასდეს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

მართლმეტყველება

- საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;
- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;
- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., ქესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემბრის ცვალებადობა).

მართლწერა

- საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;
- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;
- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;
- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
- არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაბუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, ჟარგონები;
- ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.

11. კვალიფიკაციის მინიჭება

კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალი მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

12. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლება

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

13. ჩარჩო დოკუმენტის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები

- საქართველოს კანონი - „პროფესიული განათლების შესახებ“;

- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო

პროფესიული სტანდარტები:

- ვებინტერფეისის დიზაინერი
- ვებინტერფეისის დეველოპერი

კლასიფიკატორები:

- საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორი - ეკონომიკური საქმიანობის სახეები (2016 წ.)
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორი (ISCO)
- განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორი (ISCED)

მოდული - ინფორმაციული წიგნიერება 1

სწავლის შედეგები	შესრულების კრიტერიუმები
1. სამუშაო მიზნების რეალიზებისათვის საჭირო IT ინსტრუმენტებისა და სისტემების გამოყენება	<ol style="list-style-type: none"> 1. სწორად იყენებს ოპერაციული სისტემის გარემოს ინსტრუმენტებს; 2. სწორად ქმნის და იყენებს ინფორმაციის ორგანიზაციის ელემენტებს; 3. იყენებს „ცხელ კლავიშებს“ ოპერაციული სისტემის გარემოში და ობიექტებთან მუშაობისას; 4. სწორად ამოიცნობს ვებმისამართებისა და ელფოსტის მისამართების სიმბოლოების ერთობლიობას - სტრუქტურას; 5. საძიებო სისტემების მეშვეობით მოიძიებს თემატურ ინფორმაციას; 6. მოიძიებს საკუთარი პროფესიული მიზნების შესრულებისთვის საჭირო პროგრამულ და აპარატურულ ელემენტებს; 7. ჩანიშნავს მოძიებული გვერდების მისამართებს ბრაუზერის მენიუში; 8. ტექსტის და ფოტოს ასლი, ვებგვერდიდან გადააქვს ტექსტური რედაქტორში; 9. გადმოიწერს ვებგვერდზე განთავსებულ ფაილსა და თვით ვებგვერდს ფაილის სახით; 10. დავალების შესაბამისად ახორციელებს არსებული ქსელური კავშირის გარემოს იდენტიფიცირებასა და მასში კომპიუტერის ჩართვას; 11. კომპიუტერის შესაბამის პორტებში აერთებს პერიფერიულ მოწყობილობას; 12. დავალების შესაბამისად, ბეჭდვისა და სკანირების პარამეტრების გამოყენებით იყენებს პერიფერიული მოწყობილობების სერვისებს.
2. პროფესიის შესაბამისი ტექსტური დოკუმენტის მომზადება	<ol style="list-style-type: none"> 1. სწორად განმარტავს ტექსტური რედაქტორების შესაძლებლობებს; 2. სწორად იყენებს ტექსტური რედაქტორის ინსტრუმენტალურ საშუალებებს; 3. დავალების შესაბამისად ასრულებს დოკუმენტის ფორმატირებას; 4. დავალების შესაბამისად უთავსებს ტექსტს გრაფიკულ ელემენტებს; 5. ინახავს ფაილს სათანადო ფორმატით და შესაბამის მისამართზე.
3. პროფესიის შესაბამისი ელ ცხრილების მომზადება	<ol style="list-style-type: none"> 1. სწორად განმარტავს ელექტრონული ცხრილის შესაძლებლობებს; 2. დავალების შესაბამისად შეაქვს/წერს და არედაქტირებს მონაცემებს შესაბამის ფორმატში; 3. საჭიროების შესაბამისად ამატებს ან/და შლის სვეტებსა და სტრიქონებს; 4. დავალების შესაბამისად იყენებს ხშირად გამოყენებად ფუნქციებს; 5. სწორად ადგენს მარტივ ფორმულებს, უჯრების აბსოლუტური და ფარდობითი მისამართების გამოყენებით; 6. დავალების შესაბამისად აგებს დიაგრამებს.
4. პროფესიის შესაბამისი პრეზენტაციის მომზადება	<ol style="list-style-type: none"> 1. სწორად განმარტავს პრეზენტაციის შესაქმნელი პროგრამების შესაძლებლობებს; 2. არჩევს სლაიდების გაფორმების სტილებს; 3. ათავსებს სლაიდებზე ტექსტურ და გრაფიკულ ელემენტებს; 4. პრეზენტაციის გასაფორმებლად იყენებს ანიმაციებსა და ვიზუალურ ეფექტებს; 5. სწორად ირჩევს პრეზენტაციის ჩვენების რეჟიმებს; 6. ინახავს პრეზენტაციის ფაილს სათანადო ფორმატში.
5. კომუნიკაცია ელფოსტის მეშვეობით	<ol style="list-style-type: none"> 1. დავალების შესაბამისად ახდენს ელექტრონული ფოსტის რეგისტრაციას სერვისის პროვაიდერის საშუალებით; 2. დავალების შესაბამისად, იყენებს ბრძანებებსა და მენიუს, ელექტრონული წერილის შესაქმნელად და გასაგზავნად; 3. დავალების შესაბამისად ახორციელებს წერილების ძიებას, ფილტრაციასა და დალაგებას; 4. დავალების შესაბამისად ახორციელებს პერსონალური ინფორმაციის შექმნასა და ორგანიზებას.

მოდული - მეწარმეობა 2

სწავლის შედეგები	შესრულების კრიტერიუმები
1. ბიზნესის დაგეგმვა/ რეგისტრაცია	<ol style="list-style-type: none"> 1. დასაბუთებულად აყალიბებს ბიზნესის იდეას; 2. სწორად აფასებს საკუთარ ძლიერ და სუსტ მხარეებს; 3. ბიზნესის სპეციფიკის გათვალისწინებით, ასაბუთებს გადაწყვეტილებას საწარმოს/ორგანიზაციის ადგილმდებარეობასთან დაკავშირებით; 4. ბიზნესის სპეციფიკის გათვალისწინებით, იკვლევს ბაზარს; 5. ბიზნესის სპეციფიკის გათვალისწინებით, სწორად ასაბუთებს შერჩეული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიზანშეწონილობას; 6. ადეკვატურად განსაზღვრავს ბიზნეს იდეის განხორციელებასთან დაკავშირებულ რისკებს; 7. ბიზნესის სპეციფიკის გათვალისწინებით, სწორად უკეთებს იდენტიფიცირებას საჭირო ლიცენზიებს/ნებართვებს/ სერტიფიკატებს.
2. ბიზნესის ორგანიზება	<ol style="list-style-type: none"> 1. ბიზნესის სპეციფიკის გათვალისწინებით, სწორად აღწერს წარმოების/მომსახურეობის ტექნოლოგიურ პროცესს; 2. შერჩეული ტექნოლოგიის გათვალისწინებით, სწორად უკეთებს იდენტიფიცირებას საჭირო ძირითად საშუალებებს, აღჭურვილობასა და ინვენტარს; 3. ბიზნესის სპეციფიკის გათვალისწინებით, განსაზღვრავს საჭირო მასალებსა და ნედლეულს; 4. ბიზნესის სპეციფიკის მიხედვით განსაზღვრავს საჭირო ადამიანურ რესურსს.
3. პროდუქციის/მომსახურების რეალიზაცია	<ol style="list-style-type: none"> 1. ბიზნესის სპეციფიკის გათვალისწინებით, სწორად არჩევს მიწოდების ფორმას; 2. ბიზნესის სპეციფიკის გათვალისწინებით, სწორად არჩევს გაყიდვების სახეს; 3. ბიზნესისა და მომხმარებლის სპეციფიკის გათვალისწინებით, სწორად ირჩევს მომხმარებლის სტიმულირების მექანიზმებს; 4. სწორად განსაზღვრავს საქონლის/მომსახურების ფასს.
4. ფინანსური გეგმების შედგენა	<ol style="list-style-type: none"> 1. სწორად აღწერს ბიზნესის დაფინანსების წყაროს; 2. ბიზნესის სპეციფიკის გათვალისწინებით, სწორად განსაზღვრავს მოსალოდნელ შემოსავლებს; 3. ბიზნესის სპეციფიკის გათვალისწინებით, სწორად ჩამოთვლის მოსალოდნელ ხარჯებს; 4. ბიზნესის სპეციფიკის გათვალისწინებით, სწორად უკეთებს იდენტიფიცირებას ბიუჯეტში შესატან გადასახადებს; 5. სწორად ანგარიშობს მოსალოდნელი მოგების გაანგარიშებას.

მოდული - უცხოური ენა (ინგლისური)

სწავლის შედეგები	შესრულების კრიტერიუმები
1. ზეპირი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე ყოველდღიურ ყოფით საკითხებზე	<ol style="list-style-type: none"> 1. სწორად იღებს ინგლისურ ენაზე საუბარს - აუდიალურ ინფორმაციას; 2. ამომწურავად გადმოსცემს მოსმენილი ტექსტის შინაარსსა და რაიმე შემთხვევის მნიშვნელოვან დეტალებს; 3. გამოაქვს სათანადო დასკვნა სხვადასხვა სახის ინფორმაციის დაკავშირების გზით; 4. მონაწილეობს დიალოგებსა და დისკუსიებში; 5. მკაფიოდ და გასაგებად აყალიბებს აზრს კითხვა-პასუხისას; 6. გამოხატავს ემოციებს, შეხედულებებს, განწყობილებას, საკუთარ დამოკიდებულებას, შეფასებას ადამიანების, საგნების, ფაქტებისა თუ მოვლენებისადმი; 7. იყენებს სასაუბრო თემის შესაბამის ნასწავლ ლექსიკას; 8. იყენებს ენობრივ სტრუქტურებს ლოგიკური კავშირების გამოსახატად; 9. გასაგებად საუბრობს ყოველდღიურ, ნაცნობ საკითხებზე საკომუნიკაციო სიტუაციებში.
2. უცხოურ ენაზე მიღებული ინფორმაციის წაკითხვა-განხილვა	<ol style="list-style-type: none"> 1. სათანადოდ განსაზღვრავს კითხვის მიზანსა და გამოსაყენებელ ტექნიკას; 2. გარკვევით და გამართულად კითხულობს ნაცნობ ტექსტს; 3. სწორად იღებს ყოფითი ხასიათის ინფორმაციულ ტექსტებსა და კორესპონდენციას; 4. აკავშირებს ტექსტში მოცემულ ინფორმაციას პირად გამოცდილებასთან; 5. სწორად აჯამებს მიღებულ ინფორმაციას;
3. უცხოურ ენაზე პირადი კორესპონდენციის წარმოება და წერილობითი კომუნიკაცია	<ol style="list-style-type: none"> 1. დამოუკიდებლად ადგენს მცირე ზომის ინფორმაციულ ტექსტს ელემენტარული წესების დაცვით; 2. ტექსტის შედგენისას იყენებს აზრობრივი გადაბმის მარტივ ენობრივ-გრამატიკულ საშუალებებს; 3. სწორად იყენებს ნასწავლ სინტაქსურ მიმართებებს სიტყვებს შორის; 4. საკომუნიკაციო სიტუაციის/მიზნის შესაბამისად შეარჩევს ნასწავლ ენობრივ კონსტრუქციებს, კლიშეებს, ფორმულებს, თავაზიან და ფამილარულ ფორმებს; 5. სწორად განსაზღვრავს წერილობითი ტექსტის სტრუქტურას.
4. უცხოური ენის პრაქტიკული გამოყენება პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე კომუნიკაციისას	<ol style="list-style-type: none"> 1. სწორად ამოიცნობს პროფესიასთან/საქმიანობასთან დაკავშირებულ ტერმინების მნიშვნელობას ნაცნობ ელემენტებზე დაყრდნობით; 2. სწორად იღებს აუდიალურ ინფორმაციას პროფესიასთან/საქმიანობასთან დაკავშირებულ მარტივ საკითხებზე; 3. სწორად აღიქვამს პროფესიასთან/საქმიანობასთან დაკავშირებულ ინფორმაციულ ტექსტებსა და კორესპონდენციას; 4. სწორად იყენებს ნასწავლ ენობრივ კონსტრუქციებს, კლიშეებს, ტერმინებს პროფესიასთან/საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე საუბრისას; 5. წინასწარ მომზადების საფუძველზე წარმოადგენს ზეპირ მოხსენებას/პროექტს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ აქტუალურ თემებზე; 6. წინასწარი მომზადების საფუძველზე გადმოცემს ინფორმაციას პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ თემებზე ტექსტის შინაარსის თარგმნის, თარჯიმნობის, რეზიუმირებისა თუ ინტერპრეტირების გზით.

მოდული - ინტერპერსონალური კომუნიკაცია

სწავლის შედეგები	შესრულების კრიტერიუმები
1. ზეპირი კომუნიკაცია სწავლასა და საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე	<ol style="list-style-type: none"> 1. სწორად აღწერს კომუნიკაციის პროცესის ეტაპებსა და ელემენტებს; 2. სწორად აღწერს მოსმენის პროცესის სტადიებს, მისი ეფექტიანობის გაზრდის საშუალებებს; 3. გადმოსცემს მოსმენილი ინფორმაციის შინაარსს ძირითადი ლექსიკის, სტილისა და პრაქტიკული გრამატიკის გამოყენებით; 4. ენის ფუნქციებისა და საკომუნიკაციო სიტუაციის გათვალისწინებით, სწორად განსაზღვრავს საუბრის მიზანს; 5. საკომუნიკაციო სიტუაციის გათვალისწინებით, სწორად ირჩევს საუბრის წარმართვის სტრატეგიას; 6. სწორად იყენებს კითხვის დასმისა და არგუმენტირების ტექნიკას დისკუსიაში მონაწილეობისას.
2. წერილობითი კომუნიკაცია	<ol style="list-style-type: none"> 1. სწორად განმარტავს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის შესაძლებლობებსა და შეზღუდვებს; 2. აღწერს წერილობითი ენის ძირითად მახასიათებლებს; 3. სწორად აღწერს წერილობითი ფორმით ინფორმაციის გადაცემის პროცესს; 4. გრამატიკული წესების დაცვით აშუადებს წერილობით დოკუმენტებს აუდიტორიისა და მიზნის შესაბამის ფორმატში; 5. წერილობითი ფორმით სწორად გადმოსცემს წაკითხული/მოსმენილი ინფორმაციის შინაარსს; 6. სწორად განსაზღვრავს კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენების მიზანს, მათ შესაძლებლობებსა და შეზღუდვებს.
3. ადამიანებთან ურთიერთობა განსხვავებულ სიტუაციებში	<ol style="list-style-type: none"> 1. აყალიბებს ინტერპერსონალური უნარების არსსა და მნიშვნელობას პიროვნებათაშორისი ურთიერთობების წარმართვისათვის; 2. სწორად განსაზღვრავს ინტერპერსონალურ ურთიერთობებზე ზემოქმედ ფაქტორებს; 3. სწორად განსაზღვრავს საურთიერთობო სიტუაციას; 4. განსხვავებული ტიპის ადამიანებთან ურთიერთობისას 5. სწორად აყალიბებს ინტერაქციის მიზანსა და მიმართულებას 6. სწორად აღწერს განსხვავებული კულტურის ადამიანებთან ურთიერთობის თავისებურებებს; 7. საურთიერთობო სიტუაციის, აუდიტორიისა და მიზნის შესაბამისად, კორექტულად წარმართავს ურთიერთობას; 8. სწორად აღწერს არაფერხალური კომუნიკაციის ფორმებსა და მანიშნებლებს.
4. საქმიანი ურთიერთობის ეტიკეტისა და ეთიკის ნორმების დაცვა	<ol style="list-style-type: none"> 1. სწორად განმარტავს ეთიკის, მორალისა და ზნეობის მარეგულირებელ როლს საქმიანი ურთიერთობისას; 2. სწორად განმარტავს პროფესიული, კორპორაციული და ადმინისტრაციული ეთიკის ფუნქციას; 3. არგუმენტირებულად ასაბუთებს საქმიანი ურთიერთობის ეტიკეტის ნორმების დაცვის აუცილებლობას საქმიანი ურთიერთობის პროცესში; 4. ინტერპერსონალური ურთიერთობისას მოქმედებს საქმიანი ურთიერთობის ეტიკეტის დაცვით; 5. საკომუნიკაციო სიტუაციისა და კომუნიკაციის მიზნის შესაბამისად, შეარჩევს კომუნიკაციის არხსა და ელექტრონულ საშუალებას; 6. საქმიანი ურთიერთობის წესების დაცვით, წარმართავს სატელეფონო საუბარს.

მოდული - რაოდენობრივი წიგნიერება

სწავლის შედეგები	შესრულების კრიტერიუმები
1. ყოველდღიური სამომხმარებლო/საყოფაცხოვრებო საჭიროებების შესაბამისი არითმეტიკული გამოთვლების შესრულება	<ol style="list-style-type: none"> 1. სწორად ასრულებს შეკრებას, გამოკლებას, გამრავლებას, გაყოფას, მოქმედებებს წილადებზე, მარტივი წრფივი განტოლების ამოხსნას როგორც ზეპირად ასევე, წერილობით; ითვლის და ახდენს სიგრძის საზომი ერთეულების კონვერტირებას; 2. ითვლის და ახდენს წონის საზომი ერთეულების კონვერტირებას; 3. ითვლის და ახდენს ფართობის საზომი ერთეულების კონვერტირებას; 4. ითვლის და ახდენს სიჩქარის საზომი ერთეულების კონვერტირებას; 5. ითვლის და ახდენს მოცულობის საზომი ერთეულების კონვერტირებას; 6. ითვლის და ახდენს დროის საზომი ერთეულების კონვერტირებას; 7. ყოველდღიური სამომხმარებლო/საყოფაცხოვრებო საჭიროების შესაბამისად იყენებს ტემპერატურის, ინფორმაციის, ენერგიის, სიმძლავრის, სიხშირის საზომ ერთეულებს; 8. დავალების შესაბამისად ითვლის პროცენტს; 9. დავალების შესაბამისად ითვლის ფასდაკლების შედეგს; 10. დავალების შესაბამისად ითვლის საშუალოს; 11. დავალების შესაბამისად ითვლის მანძილის შესაბამისი საწვავის ხარჯს. 12. დავალების შესაბამისად მოიძიებს და ითვლის როგორც ქვეყნის ფარგლებში, ასევე მის ფარგლებს გარეთ გადაადგილებასთან დაკავშირებულ მგზავრობის ხარჯებს.
2. გეომეტრიულ ფიგურათა გაზომვა	<ol style="list-style-type: none"> 1. სწორად ჩამოთვლის გეომეტრიულ ფიგურათა ნაირსახეობებს; 2. მართკუთხა კოორდინატთა სისტემის მიხედვით სწორად განსაზღვრავს ორ წერტილს შორის მანძილს; 3. დავალების შესაბამისად ითვლის გეომეტრიული ფიგურების ფართობსა და პერიმეტრს; 4. სწორად განმარტავს კუთხეების მნიშვნელობასა და კუთხეების საზომ ერთეულებს; 5. დავალების შესაბამისად შეუძლია გეომეტრიული ფიგურების მოცულობის გამოთვლა.
3. მონაცემთა გრაფიკული გამოსახულების ინტერპრეტირება	<ol style="list-style-type: none"> 1. სწორად განმარტავს მონაცემთა შეგროვების ხერხებს; 2. სწორად განმარტავს თვისობრივი და რაოდენობრივი მონაცემების მნიშვნელობას; 3. დავალების შესაბამისად განასხვავებს თვისობრივ და რაოდენობრივ მონაცემებს; 4. დავალების შესაბამისად განმარტავს მონაცემთა გრაფიკული გამოსახულების მნიშვნელობას; 5. დავალების შესაბამისად მონაცემთა გრაფიკულ გამოსახულებას უკეთებს მარტივ ინტერპრეტირებას.

მოდული - სამოქალაქო განათლება

სწავლის შედეგები	შესრულების კრიტერიუმები
1. ხელისუფლების შტოთა იდენტიფიცირება	<ol style="list-style-type: none"> 1. სწორად განმარტავს ხელისუფლების დანაწილების პრინციპის მნიშვნელობას; 2. ხელისუფლების შტოს მიხედვით განმარტავს თითოეული მათგანის დანიშნულებას; 3. ხელისუფლების შტოს მიხედვით განმარტავს თითოეული შტოს ფორმირების გზას; 4. დავალების შესაბამისად ადგენს ხელისუფლების შტოს ფუნქციას; 5. დავალების შესაბამისად საპრეზენტაციო საშუალებების გამოყენებით ქმნის ხელისუფლების დანაწილების იერარქიულ სტრუქტურას.
2. პასიური და აქტიური საარჩევნო უფლების იდენტიფიცირება	<ol style="list-style-type: none"> 1. არჩევნებში მონაწილეობის უფლების შესაბამისად განმარტავს ხელისუფლების ფორმირებაში მონაწილეობის შესაძლებლობებს; 2. სწორად განასხვავებს პასიურ და აქტიურ საარჩევნო უფლებებს; 3. სწორად განასხვავებს რეფერენდუმისა და პლებისციტის შედეგებს; 4. კონსტიტუციური პრინციპის გათვალისწინებით განმარტავს საკანონმდებლო ინიციატივის შესაძლებლობებს.
3. საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა	<ol style="list-style-type: none"> 1. კონსტიტუციური უფლებების გათვალისწინებით განმარტავს ინფორმაციის თავისუფლების მნიშვნელობას; 2. ინფორმაციის სახეების მიხედვით სწორად განმარტავს მათ მნიშვნელობას; 3. სწორად განმარტავს საჯარო ინფორმაციის ცნებასა და მისი გამოთხოვის შესაძლებლობებს; 4. სწორად ჩამოთვლის საჯარო ინფორმაციის მომთხოვნ და გამცემ სუბიექტებს, ვადებს; 5. საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის პროცედურების დაცვით გამოითხოვს მისთვის სასურველ საჯარო ინფორმაციას.

მოდული - პრაქტიკული პროექტი - ვებ ტექნოლოგიებში

სწავლის შედეგები	შესრულების კრიტერიუმები
1. პროფესიული ამოცანის დამოუკიდებლად დაგეგმვა	<ol style="list-style-type: none"> 1. პროფესიული ამოცანის შესაძლო რისკებს შესაბამისად განსაზღვრავს შესრულების ძირითად ეტაპებსა და დროს; 2. შესასრულებელი დავალების შესაბამისად განსაზღვრავს პროფესიული ურთიერთობების ტიპებსა და პასუხისმგებლობებს; 3. შესასრულებელი ამოცანის შესაბამისად არჩევს სამუშაოსთვის აუცილებელ რესურსებსა და საჭირო მეთოდებს; 4. დავალების ინსტრუქციის შესაბამისად ქმნის ოპტიმალურ სამუშაო გეგმას.
2. პროფესიული ამოცანის დამოუკიდებლად შესრულება	<ol style="list-style-type: none"> 1. მიღწეული სწავლის შედეგების გათვალისწინებით, დადგენილი მოთხოვნებისა და ნორმების შესაბამისად, დამოუკიდებლად ასრულებს პროფესიულ ამოცანას; 2. პროფესიული ამოცანის შესრულებისას წამოჭრილი პრობლემის მოსაგვარებლად იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას; 3. მოიძიებს პროფესიული ამოცანის შესასრულებლად საჭირო თანამედროვე ინფორმაციას.
3. შესრულებული ამოცანების ანგარიშგება	<ol style="list-style-type: none"> 1. უზრუნველყოფს შესრულებული პროფესიული ამოცანის პროდუქტის/შედეგის წარდგენას; 2. შეიმუშავებს შესრულებული სამუშაოს ანგარიშს.

მოდული - ვებგვერდის მარკირება და სტილებით გაფორმება

სწავლის შედეგები	შესრულების კრიტერიუმები
1. ვებგვერდის სტრუქტურის აგება	<ol style="list-style-type: none"> ქმნის ვებგვერდის მაკეტს ვებსტანდარტების მოთხოვნათა დაცვით; მიღებული დავალების შესაბამისად ქმნის ვებგვერდის სტრუქტურას; ამოწმებს კოდის შესატყვისობას სხვადასხვა ბრაუზერში და ვალიდურობას W3C სტანდარტების შესაბამისად; ჰოსტინგის მართვის პანელიდან ქმნის დავალებით მოცემულ FTP ანგარიშებს; დავალების შესაბამისად ქმნის საქალაქებს ვებსერვერზე და ტვირთავს შესაბამის ფაილებს.
2. ვებგვერდზე ობიექტებისა და ბმულების ასახვა	<ol style="list-style-type: none"> მოცემული ნიმუშის შესაბამის პოზიციაზე განათავსებს გრაფიკულ ობიექტებს; ქმნის შესაბამისი ტიპის ბმულებს დავალებით განსაზღვრულ ობიექტებზე; აგებს ცხრილს და განსაზღვრავს მის პარამეტრებს მოცემული ნიმუშის შესაბამისად; დავალების შესაბამისად ასახავს მულტიმედია ობიექტებს ვებგვერდზე; მოცემული დავალების შესაბამისად ცვლის მართვის პარამეტრებს.
3. ვებგვერდზე ფორმების ასახვა	<ol style="list-style-type: none"> სათანადო პოზიციაზე განათავსებს ამოცანის შესაბამის ფორმების ელემენტებს და ანიჭებს პარამეტრებს; ფორმის ელემენტებს ანიჭებს დავალებით განსაზღვრულ ატრიბუტებს.
4. ვებგვერდის გაფორმება ფონებისა და შრიფტების თვისებების გამოყენებით	<ol style="list-style-type: none"> მიღებული დავალების შესაბამისად იყენებს ძირითად სელექტორებს; მიღებული დავალების შესაბამისად იყენებს Class და ID სელექტორებს; ვებგვერდის ნიმუშის შესაბამისად ამუშავებს ფონის თვისებებს; ვებგვერდის ნიმუშის შესაბამისად ამუშავებს შრიფტის თვისებებს; მიღებული დავალების შესაბამისად იყენებს ვებფონტებს; მიღებული დავალების შესაბამისად აფორმებს ტექსტს ტექსტის თვისებების საშუალებით; აფორმებს ბმულებს შესაბამისი თვისებებით.
5. ვებგვერდის ელემენტების გაფორმება სტილების საშუალებით	<ol style="list-style-type: none"> ვებგვერდის დიზაინის შესაბამისად აფორმებს ბლოკებს ვიზუალიზაციის თვისებების გამოყენებით; ვებგვერდის დიზაინის შესაბამისად აფორმებს სიებს, გრაფიკულ გამოსახულებებსა და ცხრილებს; დავალების შესაბამისად ახორციელებს ბლოკის 2D ტრანსფორმაციას; მიღებული სამუშაოს შესაბამისად ახორციელებს ბლოკის ანიმაციას.
6. ვებგვერდის მაკეტის შექმნა და მორგება სხვადასხვა მოწყობილობებზე	<ol style="list-style-type: none"> დავალების შესაბამისად საზღვრავს ვებგვერდის გლობალურ სტილებს; დავალების შესაბამისად შეიმუშავებს ცალკეული ელემენტების სტილებს; ამოწმებს ვებგვერდის თავსებადობას სხვადასხვა მოწყობილობაზე; აღმოფხვრის მოწყობილობებზე არათავსებადობის მიზეზებს.

მოდული - გრაფიკული გამოსახულების შექმნა-დამუშავება

სწავლის შედეგები	შესრულების კრიტერიუმები
1. ვებგვერდისთვის მარტივი გამოსახულების შექმნა	<ol style="list-style-type: none"> ქმნის დოკუმენტს დავალებით მოცემული პარამეტრების შესაბამისად; ინახავს დოკუმენტს დავალებით განსაზღვრული გრაფიკული გაფართოებით; მარტივი გამოსახულების შესაქმნელად იყენებს შესაბამის მონიშვნის ხელსაწყოებს; ნიმუშის შესაბამისად ახდენს ობიექტების და მონიშნული არეების დაფერვას; დავალების შესაბამისად იყენებს/ქმნის ფუნჯის და საშლელის ტიპებს.
2. ვებგვერდისთვის მარტივი გამოსახულების რედაქტირება	<ol style="list-style-type: none"> ახდენს მარტივი გამოსახულებების რედაქტირებას ტრანსფორმაციის ბრძანებების შესაბამისად; დავალების შესაბამისად ახორციელებს გამოსახულების და დოკუმენტის ზომის რედაქტირებას, კადრირებას; შესაქმნელი გამოსახულების შესაბამისად მართავს შრეებს; დავალების შესაბამისად აფორმებს შრეებს სტილებით.
3. ტექსტთან მუშაობა ვებგვერდისთვის	<ol style="list-style-type: none"> დავალების შესაბამისად ქმნის ტექსტს და იყენებს ტექსტურ ჩარჩოს; ნიმუშის შესაბამისად საზღვრავს ტექსტის რედაქტირების პარამეტრებს; დავალების შესაბამისად ახდენს ტექსტის ტრანსფორმაციას; დავალების შესაბამისად საზღვრავს ვებგვერდისთვის რეკომენდებულ ფონტებს.
4. ვექტორული ობიექტების შექმნა/დამუშავება ვებგვერდისთვის	<ol style="list-style-type: none"> დავალების შესაბამისად აგებს გეომეტრიულ ფიგურებს; კალმის გამოყენებით ქმნის ნიმუშის შესაბამის ვექტორულ ფორმებს; მისაღები ვექტორული ობიექტის შესაბამისად ასრულებს ფორმების რედაქტირებას; კონტურის დამატებით თვისებების შესაბამისად აფორმებს ვექტორულ ობიექტებს.
5. ვებგვერდისთვის რასტრული გამოსახულების რეტუში	<ol style="list-style-type: none"> სურათის მონაკვეთების აღსადგენად ახდენს რეტუშირებას შესაბამისი ხელსაწყოების გამოყენებით; დავალების შესაბამისად ცვლის გამოსახულების ტონალობას ტონის კორექტირების ხელსაწყოებით; დავალების შესაბამისად ახდენს რასტრული გამოსახულების ტონალურ კორექციას; დავალების შესაბამისად იყენებს ფერების ზედღებების რეჟიმებს.
6. ვებგვერდისთვის გამოსახულების დამუშავება ნიღბებისა და ფილტრების გამოყენებით	<ol style="list-style-type: none"> დავალების შესაბამისად რასტრულ ნიღბის გამოყენებით ამუშავებს მოცემულ გამოსახულებას; მისაღები ობიექტის შესაბამისად იყენებს გამოსახულების კადრირებას (Clipping Mask); დავალების შესაბამისად იყენებს ფილტრებს.

მოდული - დარგობრივი ინგლისური ენა ვებტექნოლოგიებში

სწავლის შედეგები	შესრულების კრიტერიუმები
1. კომპიუტერული სისტემის და ელექტრონული ფოსტის მუშაობის პრინციპებსა და ფუნქციებთან დაკავშირებული მასალებისა და ტერმინოლოგიის გაგება-თარგმნა	<ol style="list-style-type: none"> 1. სწორად იგებს კომპიუტერული სისტემის და ელექტრონული ფოსტის მუშაობის პრინციპებსა და ფუნქციებთან დაკავშირებულ მასალებსა და ტერმინოლოგიას; 2. სწორად თარგმნის კომპიუტერული სისტემის და ელექტრონული ფოსტის მუშაობის პრინციპებსა და ფუნქციებთან დაკავშირებულ მასალებსა და ტერმინოლოგიას.
2. ფერთა თეორიასა და დიზაინთან დაკავშირებული მასალებისა და ტერმინოლოგიის გაგება-თარგმნა	<ol style="list-style-type: none"> 1. სწორად იგებს ფერთა თეორიასა და დიზაინთან დაკავშირებულ მასალებსა და ტერმინოლოგიას; 2. სწორად თარგმნის ფერთა თეორიასა და დიზაინთან დაკავშირებულ მასალებსა და ტერმინოლოგიას.
3. ვექტორულ და რასტრულ გრაფიკულ პროგრამებთან დაკავშირებული მასალებისა და ტერმინოლოგიის გაგება-თარგმნა	<ol style="list-style-type: none"> 1. სწორად იგებს ვექტორულ და რასტრულ გრაფიკულ პროგრამებთან დაკავშირებულ მასალებსა და ტერმინოლოგიას; 2. სწორად თარგმნის ვექტორულ და რასტრულ გრაფიკულ პროგრამებთან დაკავშირებულ მასალებსა და ტერმინოლოგიას.
4. ვებტექნოლოგიებთან (Front-end და Back-end დეველოპმენტი) დაკავშირებული მასალებისა და ტერმინოლოგიის გაგება-თარგმნა	<ol style="list-style-type: none"> 1. სწორად იგებს ვებტექნოლოგიებთან (Front-end და Back-end დეველოპმენტი) დაკავშირებულ მასალებსა და ტერმინოლოგიას; 2. სწორად თარგმნის ვებტექნოლოგიებთან (Front-end და Back-end დეველოპმენტი) დაკავშირებულ მასალებსა და ტერმინოლოგიას.
5. ნავიგატორებთან, სამიუზო სისტემებთან, მათ ოპტიმიზაციასა და მუშაობის პრინციპებთან დაკავშირებული მასალებისა და ტერმინოლოგიის გაგება-თარგმნა	<ol style="list-style-type: none"> 1. სწორად იგებს ნავიგატორებთან, სამიუზო სისტემებთან, მათ ოპტიმიზაციასა და მუშაობის პრინციპებთან დაკავშირებულ მასალებსა და ტერმინოლოგიას; 2. სწორად თარგმნის ნავიგატორებთან, სამიუზო სისტემებთან, მათ ოპტიმიზაციასა და მუშაობის პრინციპებთან დაკავშირებულ მასალებსა და ტერმინოლოგიას.

მოდული - ვებგვერდის ინტერაქტივისა და ეფექტების შემუშავება JavaScript

სწავლის შედეგები	შესრულების კრიტერიუმები
1. მარტივი (წრფივი) ამოცანის გადაწყვეტა JavaScript-ის ძირითადი ელემენტების გამოყენებით	<ol style="list-style-type: none"> შესასრულებელი დავალების შესაბამისად აცხადებს დეკლარაციებს; იყენებს დავალების შესაბამის ენის საბაზისო ოპერატორებს; ამოცანიდან გამომდინარე, სწორად იყენებს ცვლადების აღმწერ სტრუქტურებს; ასახავს შედეგს დავალების შესაბამისი გამოტანის ოპერატორის მეშვეობით.
2. ამოცანის გადაჭრა ძირითადი კონსტრუქციების გამოყენებით	<ol style="list-style-type: none"> მიღებული დავალების შესაბამისად იყენებს პირობით ოპერატორებს; დავალების შესაბამისად იყენებს ციკლის კონსტრუქციებს; ამოცანის შესაბამისად სწორად ირჩევს და იყენებს ხდომილებებს (events).
3. მასივებთან მუშაობა	<ol style="list-style-type: none"> აყალიბებს ამოცანის გადაჭრის გზას მასივზე დაფუძნებული აბსტრაქტულ მონაცემთა სტრუქტურების მეშვეობით; მიღებული დავალების შესაბამისად იყენებს მასივებთან მუშაობის ძირითად ფუნქციებს; ასრულებს ამოცანის იმპლემენტაციას მასივების მეშვეობით;
4. ბრაუზერთან სამუშაო (უტილიტარული) ფუნქციების გამოყენება	<ol style="list-style-type: none"> მიღებული დავალებიდან გამომდინარე, იყენებს დროისა და თარიღის ფუნქციებს; დავალების შესაბამისად იყენებს სტრიქონულ ფუნქციებს; დავალებიდან გამომდინარე, იყენებს ბრაუზერთან სამუშაო ფუნქციებს; იყენებს დავალების შესაბამის დოკუმენტთან სამუშაო ფუნქციებს; დავალებიდან გამომდინარე, იყენებს ტაიმერის ფუნქციებს.
5. JavaScript-ის ბიბლიოთეკების ინტეგრაცია ვებგვერდთან	<ol style="list-style-type: none"> მოიძიებს მიღებული დავალების შესრულებისათვის საჭირო ბიბლიოთეკას; აკავშირებს მოძიებულ ბიბლიოთეკას არსებულ ვებგვერდთან; დავალების შესაბამისად გამოყოფს საჭირო ინფორმაციას და გადმოაქვს არსებულ ვებგვერდზე; ახორციელებს გადმოტანილი კოდის ელემენტების რედაქტირებას, მიღებული დავალების შესაბამისად; მოცემული დავალების შესაბამისად ცვლის ელემენტების ეფექტებს.

მოდული - ვებგვერდის მართვის სისტემების (CMS) გამოყენება

სწავლის შედეგები	შესრულების კრიტერიუმები
1. ვებგვერდის მართვის სისტემების (CMS) ინსტალაცია	<ol style="list-style-type: none"> 1. დავალების შესაბამისად აინსტალირებს ლოკალურ სერვერს; 2. დავალების შესაბამისად განათავსებს ვებგვერდის მართვის სისტემას და აინსტალირებს სერვერზე; 3. მოცემული დავალების შესაბამისად აყენებს ვებგვერდის მართვის სისტემის საწყის პარამეტრებს.
2. ვებგვერდის შემცველობისა და პარამეტრების ცვლილება შუა შაბლონის პირობებში	<ol style="list-style-type: none"> 1. ამოცანის შესაბამისად აინსტალირებს კლიენტის მხარის დიზაინის აღმწერ (კლიენტის სასურველ დიზაინის მსგავს) შაბლონს/თემას (template); 2. მისაღები შედეგის შესაბამისად ცვლის მართვის სისტემის ელემენტებს; 3. კლიენტის მოთხოვნიდან გამომდინარე, ცვლის ვებგვერდის შიგთავსს; 4. სტილური ფაილის კორექტირებით ცდილობს არსებული თემის ვიზუალში მინიმალური ცვლილების შეტანას.
3. დამატებითი პლაგინების, მოდულებისა და კომპონენტების დაყენება/გამოყენება	<ol style="list-style-type: none"> 1. დასმული ამოცანის შესაბამისად შეარჩევს დამატებით პლაგინებს; 2. მოიძიებს და აინსტალირებს, ამოცანიდან გამომდინარე, შერჩეულ დამატებით პლაგინებს; 3. საჭიროების შემთხვევაში ახდენს პლაგინის კონფიგურირებას მართვის პანელიდან; 4. მისაღწევი შედეგის შესაბამისად იყენებს შერჩეულ პლაგინებს.
4. არსებული ვებგვერდის სტრუქტურის ან შემცველობის შეცვლა მოთხოვნის შესაბამისად.	<ol style="list-style-type: none"> 1. დავალების შესაბამისად არგებს არსებულ ვებგვერდს html შაბლონს CMS ფუქციონალზე; 2. მოთხოვნის შესაბამისად ცვლის ვებგვერდის სტრუქტურას; 3. ნიმუშის შესაბამისად ქმნის ინდივიდუალურ სტილურ ფაილს მოთხოვნის შესაბამისი დიზაინის მისაღებად.

მოდული - ვებგვერდის მარკირება Bootstrap-ის სპეციალიზებული ბიბლიოთეკების
საშუალებით

სწავლის შედეგები	შესრულების კრიტერიუმები
1. ვებგვერდის მაკეტის აგება Bootstrap-ის საშუალებით	<ol style="list-style-type: none"> 1. მოიძიებს და აინსტალირება დავალების შესაბამის Bootstrap-ის ბიბლიოთეკებს; 2. დავალების შესაბამისად აკავშირებს მოძიებულ ბიბლიოთეკას არსებულ ვებგვერდთან; 3. დავალების შესაბამისად ქმნის სხვადასხვა მოწყობილობაზე ადაპტირებული ვებგვერდის მაკეტს (Bootstrap Grid System); 4. ამოწმებს კოდის შესატყვისობას სხვადასხვა ბრაუზერსა და მოწყობილობაზე.
2. ვებგვერდის ობიექტების გაფორმება Bootstrap-ის საშუალებით	<ol style="list-style-type: none"> 1. ვებგვერდის დიზაინის შესაბამისად აფორმებს ბლოკებს და გრაფიკულ გამოსახულებებს ვიზუალიზაციის თვისებების გამოყენებით; 2. ვებგვერდის დიზაინის შესაბამისად აფორმებს ტექსტურ ელემენტებს; 3. დავალების შესაბამისად ქმნის და აფორმებს სიებს; 4. მოცემული ნიმუშის შესაბამისად აგებს და აფორმებს ცხრილებს.
3. ვებგვერდზე ფორმების, სანავიგაციო პანელისა და ანიმირებული ელემენტების ასახვა Bootstrap-ის საშუალებით	<ol style="list-style-type: none"> 1. მოცემული ნიმუშის შესაბამისად ასახავს ვებგვერდზე ფორმებსა და ლილაკებს; 2. მიღებული ნიმუშის შესაბამისად ქმნის სანავიგაციო პანელს; 3. დავალების შესაბამისად ქმნის შეტყობინების ფანჯარას; 4. ვებგვერდის დიზაინის შესაბამისად ქმნის რესპონსიულ ბლოკს ანიმირებული ელემენტებისათვის (სლაიდერი, კარუსელი).

მოდული - ვებგვერდის ინტერაქტივისა და ეფექტების შემუშავება Angular-ის
საშუალებით

სწავლის შედეგები	შესრულების კრიტერიუმები
1. მოძიებული ბიბლიოთეკის ინტეგრაცია ვებგვერდთან	<ol style="list-style-type: none"> 1. მოძიებს და დააინსტალირებს დავალების შესაბამის Angular-ის ბიბლიოთეკებს; 2. დავალების შესაბამისად აკავშირებს მოძიებულ ბიბლიოთეკას არსებულ ვებგვერდთან; 3. ახორციელებს გადმოტანილი კოდის რედაქტირებას, მიღებული დავალების შესაბამისად.
2. დასმული ამოცანის გადაწყვეტა დირექტივების საშუალებით	<ol style="list-style-type: none"> 4. დასმული ამოცანის შესაბამისად იყენებს Angular-ში ჩამოწმულ დირექტივებს; 5. დავალების შესაბამისად ქმნის სამომხმარებლო დირექტივებს; 6. ამოწმებს კოდის შესატყვისობას სხვადასხვა ბროუზერსა და მოწყობილობაზე.
3. მონაცემების დამუშავება ფილტრების საშუალებით	<ol style="list-style-type: none"> 1. დავალების შესაბამისად განსაზღვრული ლოგიკით ინფორმაციის დამუშავება ფილტრების საშუალებით; 2. ფილტრის საშუალებით დამუშავებული ინფორმაციის ფორმის მიცემა ნიმუშის შესაბამისად; 3. დავალების შესაბამისად საკუთარი ფილტრები შექმნა.

მოდული - ვექტორული გამოსახულების დამუშავება (Adobe Illustrator)

სწავლის შედეგები	შესრულების კრიტერიუმები
7. ვექტორული ობიექტების შექმნა შესაბამისი თვისებების გათვალისწინებით	<ol style="list-style-type: none"> 1. ქმნის დოკუმენტს დავალებით მოცემული პარამეტრების შესაბამისად; 2. დავალების შესაბამისად აგებს მარტივ გეომეტრიულ ფიგურებს ფიქსირებული და არაფიქსირებული ზომებით; 3. ნიმუშის შესაბამისად საზღვრავს ვექტორული ობიექტის შიგთავსისა და კონტურის თვისებებს; 4. შესაქმნელი ობიექტის შესაბამისად იყენებს/ქმნის ფუნჯს; 5. დავალების შესაბამისად იყენებს/ქმნის სიმბოლოების ბიბლიოთეკას; 6. ქმნის ტექსტს და ახდენს მის რედაქტირებას ნიმუშის შესაბამისად; 7. სწორად შლის გრაფიკულ გამოსახულებას შემადგენელ ნაწილებად (Expend); 8. ინახავს დოკუმენტს მითითებული გაფართოებით.
8. ვექტორული ობიექტების რედაქტირება/ტრანსფორმაცია	<ol style="list-style-type: none"> 1. დავალების შესაბამისად ახორციელებს ობიექტების ტრანსფორმირებას; 2. დავალების შესაბამისად იყენებს ვექტორული ობიექტების დეფორმირების ხელსაწყოებს; 3. კალმის საშუალებით აგებს და არედაქტირებს დავალების შესაბამის ობიექტებს; 4. ობიექტების ფორმირებისთვის იყენებს შესაბამის მეთოდებს (Pathfinder).
9. დამატებითი ეფექტების შექმნა და გამოყენება	<ol style="list-style-type: none"> 1. დავალების შესაბამისად იყენებს გრაფიკულ სტილებს; 2. ნიმუშის შესაბამისად იყენებს გადადინების/შერევის ეფექტს (Blend); 3. დავალების შესაბამისად იყენებს ობიექტების დეფორმაციის ეფექტებს; 4. დავალების შესაბამისად იყენებს გამოსახულების კადრირებას (Clipping Mask); 5. ნიმუშის შესაბამისად იყენებს გაუმჭვირვალობის ნიღაბს (Opacity Mask); 6. დავალების შესაბამისად ქმნის სამგანზომილებიან გამოსახულებას; 7. დავალების შესაბამისად ახორციელებს რასტრული გამოსახულების ტრასირებას (Image Trace); 8. ნიმუშის შესაბამისად აგებს/არედაქტირებს დიაგრამას (Graph).
10. დოკუმენტის მოწმადება დასაბეჭდად	<ol style="list-style-type: none"> 1. დავალების შესაბამისად საზღვრავს ჭრის ხაზებს და დოკუმენტის პარამეტრებს (Document Setup); 2. დავალების შესაბამისად ასრულებს ფონტების კონვერტირებას (Expand, Type/Create Outlines); 3. ფაილს პროცედურების დაცვით ინახავს PDF ფორმატში.

მოდული - ქართული ენა A2

სწავლის შედეგები	შესრულების კრიტერიუმები
1. ზეპირი კომუნიკაცია სახელმწიფო ენაზე ყოველდღიურ ყოფით საკითხებზე	<ol style="list-style-type: none"> 1. სწორად იგებს სახელმწიფო ენაზე საუბარს - აუდიალურ ინფორმაციას; 2. იგებს მოსმენილი ტექსტის შინაარსს და გადმოსცემს მის მნიშვნელოვან დეტალებს; 3. აკავშირებს სხვადასხვა სახის ინფორმაციას და გამოაქვს სათანადო დასკვნები; 4. მონაწილეობს დიალოგებსა და დისკუსიებში; 5. მკაფიოდ და გასაგებად აყალიბებს აზრს კითხვა-პასუხისას; 6. გამოხატავს ემოციებს, შეხედულებებს, განწყობილებას, საკუთარ დამოკიდებულებას, შეფასებას ადამიანების, საგნების, ფაქტებისა თუ მოვლენებისადმი; 7. იყენებს სასაუბრო თემის შესაბამის ნასწავლ ლექსიკას; 8. იყენებს ენობრივ სტრუქტურებს ლოგიკური კავშირების გამოსახატად; 9. გასაგებად საუბრობს ყოველდღიურ, ნაცნობ საკითხებზე საკომუნიკაციო სიტუაციებში.
2. სახელმწიფო ენაზე მიღებული ინფორმაციის წაკითხვა-განხილვა	<ol style="list-style-type: none"> 1. გარკვევით და გამართულად კითხულობს ნაცნობ ტექსტს; 2. სწორად იგებს ყოფითი ხასიათის ინფორმაციულ ტექსტებსა და კორესპონდენციას; 3. აკავშირებს ტექსტში მოცემულ ინფორმაციას პირად გამოცდილებასთან; 4. სწორად აჯამებს მიღებულ ინფორმაციას.
3. სახელმწიფო ენაზე წერილობითი კომუნიკაციის წარმართვა	<ol style="list-style-type: none"> 1. დამოუკიდებლად ადგენს მცირე ზომის ინფორმაციულ ტექსტს ელემენტარული წესების დაცვით; 2. ტექსტის შედგენისას იყენებს აზრობრივი გადაბმის მარტივ ენობრივ-გრამატიკულ საშუალებებს; 3. სწორად იყენებს ნასწავლ სინტაქსურ მიმართებებს სიტყვებს შორის; 4. საკომუნიკაციო სიტუაციის/მიზნის შესაბამისად შეარჩევს ნასწავლ ენობრივ კონსტრუქციებს, კლიშეებს, ფორმულებს, თავაზიან და ფამილარულ ფორმებს; 5. სწორად განსაზღვრავს წერილობითი ტექსტის სტრუქტურას.
4. სახელმწიფო ენის პრაქტიკული გამოყენება პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე კომუნიკაციისას.	<ol style="list-style-type: none"> 1. სწორად ამოიცნობს პროფესიასთან/საქმიანობასთან დაკავშირებულ ტერმინების მნიშვნელობას; 2. სწორად იგებს აუდიალურ ინფორმაციას პროფესიასთან/საქმიანობასთან დაკავშირებულ მარტივ საკითხებზე; 3. სწორად აღიქვამს პროფესიასთან/საქმიანობასთან დაკავშირებულ ინფორმაციულ ტექსტებსა და კორესპონდენციას; 4. სწორად იყენებს ნასწავლ ენობრივ კონსტრუქციებს, კლიშეებს, ტერმინებს პროფესიასთან/საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე საუბრისას; 5. წინასწარი მომზადების საფუძველზე გადმოცემს ინფორმაციას პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ თემებზე ტექსტის შინაარსის თარგმნის, თარჯიმნობის, რეზიუმირებისა თუ ინტერპრეტირების გზით.

მოდული - ქართული ენა B1

სწავლის შედეგები	შესრულების კრიტერიუმები
1. ზეპირი კომუნიკაცია სახელმწიფო ენაზე ყოველდღიურ ყოფით საკითხებზე და საყოფაცხოვრებო თემებზე;	<ol style="list-style-type: none"> 1. სწორად იგებს სახელმწიფო ენაზე საუბარს - აუდიალურ ინფორმაციას; 2. იგებს მოსმენილი ტექსტის შინაარსს და გადმოსცემს მის მნიშვნელოვან დეტალებს; 3. აკავშირებს სხვადასხვა სახის ინფორმაციას და გამოაქვს სათანადო დასკვნები; 4. მონაწილეობს დიალოგებსა და დისკუსიებში; 5. მკაფიოდ და გასაგებად აყალიბებს აზრს კითხვა-პასუხისას; 6. გამოხატავს ემოციებს, შეხედულებებს, განწყობილებას, საკუთარ დამოკიდებულებას, შეფასებას ადამიანების, საგნების, ფაქტებისა თუ მოვლენებისადმი; 7. იყენებს სასაუბრო თემის შესაბამის ნასწავლ ლექსიკას. 8. იყენებს ენობრივ სტრუქტურებს ლოგიკური კავშირების გამოსახატად; 9. გასაგებად საუბრობს ყოველდღიურ, ნაცნობ საკითხებზე საკომუნიკაციო სიტუაციებში.
2. სახელმწიფო ენაზე მიღებული ინფორმაციის წაკითხვა-განხილვა;	<ol style="list-style-type: none"> 1. სათანადოდ განსაზღვრავს კითხვის მიზანსა და გამოსაყენებელ ტექნიკას; 2. გარკვევით და გამართულად კითხულობს სხვადასხვა სახის ტექსტს; 3. სწორად იგებს ყოფითი ხასიათის ინფორმაციულ ტექსტებსა და კორესპონდენციას; 4. აკავშირებს ტექსტში მოცემულ ინფორმაციას პირად გამოცდილებასთან; 5. სწორად აჯამებს მიღებულ ინფორმაციას.
3. სახელმწიფო ენაზე წერილობითი კომუნიკაციის წარმართვა, პირადი კორესპონდენციის წარმოება;	<ol style="list-style-type: none"> 1. დამოუკიდებლად ადგენს სხვადასხვა მიზნით, სხვადასხვა აუდიტორიისათვის, სხვადასხვა ტიპის ტექსტს (განცხადება, ბიოგრაფია, სამოტივაციო წერილი, მოკლე მოხსენება...) ელემენტარული წესების დაცვით; 2. აყალიბებს მარტივ რეკომენდაციებსა და მოსაზრებებს მისთვის საინტერესო და ნაცნობ თემებზე; 3. ტექსტის შედგენისას იყენებს აზრობრივი გადაზიდვის მარტივ ენობრივ-გრამატიკულ საშუალებებს; 4. სწორად იყენებს ნასწავლ სინტაქსურ მიმართებებს სიტყვებს შორის; 5. საკომუნიკაციო სიტუაციის/მიზნის შესაბამისად შეარჩევს ნასწავლ ენობრივ კონსტრუქციებს, კლიშეებს, ფორმულებს, თავაზიან და ფამილარულ ფორმებს; 6. სწორად განსაზღვრავს წერილობითი ტექსტის სტრუქტურას.
4. სახელმწიფო ენის პრაქტიკული გამოყენება პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე კომუნიკაციისას.	<ol style="list-style-type: none"> 1. სწორად ამოიცნობს პროფესიასთან/საქმიანობასთან დაკავშირებული ტერმინების მნიშვნელობას; 2. სწორად იგებს აუდიალურ ინფორმაციას პროფესიასთან/საქმიანობასთან დაკავშირებულ მარტივ საკითხებზე; 3. სწორად აღიქვამს პროფესიასთან/საქმიანობასთან დაკავშირებულ ინფორმაციულ ტექსტებსა და კორესპონდენციას; 4. სწორად იყენებს ნასწავლ ენობრივ კონსტრუქციებს, კლიშეებს, ტერმინებს პროფესიასთან/საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე საუბრისას; 5. ამზადებს მოკლე, მარტივ პრეზენტაციას პროფესიასთან/საქმიანობასთან დაკავშირებულ თემებზე; 6. წინასწარი მომზადების საფუძველზე გადმოცემს ინფორმაციას პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ თემებზე ტექსტის შინაარსის თარგმნის, რეზიუმირებისა თუ ინტერპრეტირების გზით.